ПРОЛЕТАРЕБО ДА ЗЕЛА ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი № 82 (12898) | სამშაბათი, 7 აპრილი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს

საქართველოს მედიცინის მუშაკთა მესამე ყრილობის მონაწილენი მხურვალე, გულითად სალამს უძღვნიან სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, შშობლიურ საბჭოთა მთავრობას და პირადად თქვენ, ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ.

ყრილობამ განიხილა საკითხი, თუ როგორ სრულდება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 14 იანვრის დადგენილება და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 27 თებერვლის დადგენილება მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებისა და ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

ყრილობა მიმდინარეობს იმ დროს, როცა ჩვენს ქვეყანაში გრანდიოზული გარდაქმნები ხდება. წარმატებით ხორციელდება პარტიის XXII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების ისტორიული გადაწყვეტილებანი. შესანიშნავ გამარჯვებებს მივაღწიეთ კომუნისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე.

მედიცინის მუშაკები — ყველაზე ჰუმანური და მშვიდობიანი პროფესიის წარმომადგენლები — დიდი მადლობითა და ენთუზიაზმით უჭერენ მხარს და იწონებენ დაუცხრომელ ბრძოლას მშვიდობისათვის, ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილებისათვის, კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის, რომელსაც ჩვენი შშობლიური პარტია და საბჭოთა მთავრობა ეწევიან.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი განუხრელად და შეუპოვრად იბრძვიან მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისათვის, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების სიწმინდისათვის. ჩვენ გულისწყრომითა და აღშფოთებით უყურეთ ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელთა ცილისმწამებლურ თავდასხმებს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტზე, მოძმე მარქსისტულ პარტიებზე, ერთსულოვნად და სავსებით ვიწონებთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პრეზიდიუმის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის პოლიტიკურ და პრაქტიკულ საქმიანობას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომელთა მიზანია მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის განმტკიცება მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე.

ჩვენ სიხარულით მოგახსენებთ, რომ პარტიისა და მთავრობის განსაკუთრებული ზრუნვისა და დახმარების მეოხებით, ჩვენს რესპუბლიკაში მიღწეულია დიდი წარმატებანი ჯანმრთელობის დაცვის დარგში. წლითიწლობით უმჯობესდება მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება, მცირდება დაავადების, ინვალიდობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლები, იზრდება საბჭოთა ადამიანების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა.

მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი უნდა ვიშრომოთ, რომ მინიმუმამდე შევამციროთ და მოვსპოთ ზოგიერთი ინფექციური დაავადება. განსაკუთრებით შეუპოვრად ვიბრძოლებთ დიფთერიის ლიკვიდაციისათვის, ტუბერკულოზით დაავადების შემდგომი შემცირებისა და მთელი რიგი სხვა ინფექციების დაძლევისათვის. მეცნიერები და მედიცინის ყველა მუშაკი იბრძოლებენ აგრეთვე გულსისხლძარღვების და ვირუსულ დაავადებათა რიცხვის შემდგომი შემცირებისათვის, იბრძოლებენ კიბოს და სხვა მძიმე სნეულებათა წინააღმდეგ.

სამედიცინო დაწესებულებათა ქსელის შემდგომ გაფართოებასთან ერთად ვიბრძოლებთ რესპუბლიკის სამკურნალო-პროფილაქტიკური და სანიტარული დაწესებულებების მუშაობის კულტურისა და ხარისხის გადაქრით გაუმჯობესებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა პროფილაქტიკის დარგში მეცნიერების უახლეს მიღწევათა პრაქტიკაში დანერგვას, დაავადებათა დიაგნოსტიკასა და მკურნალობას, მოსახლეობის დისპანსერიზაციასა და სპეციალურ მომსახურებას, მუშებისა და სოფლის მეურნეობის შრომელებისათვის სამეცნიერო დახმარების მკვეთრ გაუმჯობესებას, სანიტარულ-ჰიგიენური და მეცნიერული ცოდნის პროპაგანდას შრომელთა ფართო მასებში.

პარტიისა და მთავრობის უყურადღებითა და ზრუნვით აღფრთოვანებულნი, ჩვენ ვითვალისწინებთ, რომ უფრო უნარიანად და შეუპოვრად უნდა ვიშრომოთ, რათა უმოკლეს ვადაში აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისა და სამედიცინო დაწესებულებების მუშაობაში.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ სახალხო ჯანმრთელობის დაცვის განვითარების ამოცანების განხორციელება ხელს შეუწყობს მოსახლეობის ჯანმრთელობის შემდგომ განმტკიცებას, საბჭოთა ადამიანების ყოველმხრივ ჰარმონიულ განვითარებას, რომლებიც კომუნისტურ საზოგადოებას აშენებენ.

ყრილობის მონაწილენი საქართველოს მედიცინის ყველა მუშაკის სახელით პირობას აძლევენ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას და პირადად თქვენ, ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ, რომ მთელ თავიანთ ძალას, ცოდნას, გამოცდილებასა და შემოქმედებითს მგზნებარებას მოახმარენ კეთილშობილურ მიზანს — მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებისა და ჯანმრთელობის დაცვის შემდგომ გაუმჯობესებას, თავიანთი თავდადებული შრომით ღირსეულ წვლილს შეიტანენ კომუნისტური მშენებლობის დიადი ამოცანების გადაწყვეტისათვის ბრძოლაში.

მიღებულია საქართველოს მედიცინის მუშაკთა ყრილობაზე 1964 წლის 6 აპრილს.

სიჯუმრად მეგობრებთან

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში

ბუდაპეშტი, 5 აპრილი. (საკდესი). დღეს შუადღემდე საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ბუდაპეშტში იყო. დელეგაციის წევრთა ჯგუფმა დაათვალიერა უნგრეთის დედაქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები, გაეცნო ქალაქის ისტორიასა და განვითარებას.

ნაშუადღევს საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაური ნ. ს. ხრუშჩოვი, დელეგაციის წევრები და მათი თანმხლებნი იანოშ კადარი, დიულა კალეი, ლაიოშ ჩეტერეკი სპეციალური მატარებლით ქალაქ მიშკოლცში გაემგზავრნენ.

ბუდაპეშტი, 5 აპრილი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტები დ. ბოჩაროვი და მ. პოპოვი იუწყებიან:

სტუმართმოყვარე უნგრელი ხალხი ყველგან გულითადად, მზურად ხვდება საბჭოთა ქვეყნის წარგზავნილებს. ასე იყო დღესაც, მეექვსე დღეს, რაც მოძმე უნგრეთში იმყოფება საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით.

ბორშოდის ოლქის ცენტრის ქალაქ მიშკოლცის ვაგზალში მოხდა აღფრთოვანებული შეხვედრა საბჭოთა სტუმრებისა უნგრელ მეგობრებთან.

ქალაქ მიშკოლცს წელს 600 წელი უსრულდება. ეს ძველი სამრეწველო ცენტრი მოდამ განახლების პროცესშია. სპეციალური მატარებლის ჩამოსვლისათვის ვაგზლის მოედანზე შეკრებილან ქალაქის ათასობით მცხოვრებნი — მეტალურგები, მეშახტეები, ქიმიკოსები, ენერგეტიკოსები, მშენებლები.

შემხვედრთა შორის არიან ოლქისა და ქალაქის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისა და პარტიული ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები. ნ. ს. ხრუშჩოვს, დელეგაციის წევრებს, იანოშ კადარსა და სხვა ჩამოსულ სტუმრებს მხურვალედ მიესალმა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ბორშოდის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფერენც ბოდნარი. მან მადლობა უძღვნა საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის ხელმძღვანელებს იმისათვის, რომ ეწვივნენ ქალაქს.

ჩვენთვის სიხარული და დიდი პატივია ის ფაქტი, თქვა მან, რომ ჩვენი სამშობლოს განთავისუფლების მე-19 წლისთავის გამო შეგვიძლია ჩვენს ქალაქში მივესალმოთ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრებს — განმათავისუფლებელი ხალხის წარმომადგენლებს, ჩვენს ნამდვილ მეგობრებს.

ვაგზალში მეგობრული შეხვედრის შემდეგ საბჭოთა სტუმრები და უნგრეთის ხელმძღვანელები მანქანებში ჩასხდნენ და გაემართნენ მათთვის განკუთვნილ რეზიდენციაში, რომელიც მდებარეობს საკურორტო დაბა ლილაფიურდში მიშკოლცის ახლოს.

კაზინცბარციკა, 6 აპრილი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტები დ. ბოჩაროვი და მ. პოპოვი გადმოგვცემენ:

ერთი კვირა გავიდა, რაც მეგობარ უნგრეთში იმყოფება საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით. ძველ მიშკოლცში აღფრთოვანებული შეხვედრის შემდეგ დღეს სასურველ სტუმრებს — ამხანაგ ხრუშჩოვს, დელეგაციის წევრებს, იანოშ კადარსა და სხვა უნგრელ მოღვაწეებს გულღიად შეხვდა უნგრეთის ყველაზე ახალგაზრდა ქალაქი — კაზინცბარციკა.

მიმდინარე წლის თებერვალში კაზინცბარციკას 10 წელი შეუსრულდა. 14 წლის წინათ მდინარე ბაოოს ხეობაში მოვიდნენ პირველი მშენებლები. ჯერ აშენდა ქვანახშირის მანარისხებელი ფაბრიკა, შემდეგ კი ელექტროსადგური, რომელიც იმდენ ელექტროენერგიას იძლევა, რამდენსაც მთელი უნგრეთი აწარმოებდა 1937 წელს. მაგრამ კაზინცბარციკისა და ბორშოდის ოლქის ყველაზე საამაყო ობიექტია ბორშოდის მძლავრი ქიმიური კომბინატი, რომელიც რესპუბლიკაში გამოშვებული აზოტიანი სასუქების ნახევარზე მეტს აწარმოებს.

გიგანტურ მშენებლობასთან ერთად იზრდებოდა და ვითარდებოდა ახალი სოციალისტური ქალაქი — ქიმიკოსთა, მეშახტეთა, ელექტრიკოსთა ქალაქი. ახლა ამ ქალაქში 22 ათასი კაცი ცხოვრობს. კაზინცბარციკა ახალგაზრდების ქალაქია — მისი მცხოვრებლების საშუალო ასაკი 30 წელს არ აღემატება.

კაზინცბარციკაში გზად მიმავალი მანქანები, რომლებშიც საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები და უნგრელი ამხანაგები იყვნენ, მეშახტეთა დაბა ბაოოსენტპეტერში შეჩერდნენ. სამთო ინჟინერმა ფერენც ჩიბიმ ბორშოდელ მეშახტეთა სახელით ეგებოდა ხრუშჩოვსა და იანოშ კადარს მეგობრული ტოსტი — ეგეგეგ-ეგეგეგ-ეგეგეგ-

ლენინური გზით—კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

პარტიული კომიტეტების პლენუმები და აქტივის კრებები

ბოლო დროს გაიმართა უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთის, უაზბეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის, ლიტვის, მოლდავეთის, ლატვის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, სომხეთის, თურქმენეთის, ესტონეთის კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების პლენუმები, მოსკოვის საქალაქო კომიტეტის, მოსკოვის სამრეწველო და სასოფლო საოლქო კომიტეტების პლენუმები, ლენინგრადის სამრეწველო და სასოფლო საოლქო პარტიული ორგანიზაციების აქტივის კრება, პარტიის მთელი რიგი სხვა საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პლენუმები. მათს მუშაობაში მონაწილეობდა პარტიული აქტივის ფართო წრე.

პარტიული კომიტეტების პლენუმებმა და აქტივის კრებებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით ყოველმხრივ განიხილეს საკითხი „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძოლა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისათვის“.

პლენუმზე ვრცელი, შინაარსიანი მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. ნ. შელეპინმა, რომელსაც დამწყრნი გულთბილად შეხვდნენ.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი.

სიტყვა ეძლევა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს **მ. ბლაუბას.** ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის სახელით ორატორმა განაცხადა, რომ აფხაზეთის კომუნისტები ერთსულოვნად იწონებენ პოზიციას, რასაც ახორციელებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტი და მისი პრეზიდიუმი ნიკიტა სერგეს-ძე ხრუშჩოვის მეთაურობით ჩინეთის ხელმძღვანელთა გამითიშველი საქმიანობის მიმართ.

უკანასკნელი დროის ამბებმა ცხადყვეს, თქვა ორატორმა, რომ ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელები სულ უფრო მეტად იცავენ თავიანთ არსებითად ანტიკომუნისტურ და ანტიხალხურ შეხედულებებს. ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელობამ კიდევ უფრო გააძლიერა კამპანია საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გენერალური ხაზის წინააღმდეგ, რომლებიც განსაზღვრეს მოსკოვის 1957 და 1960 წლების თათბირებმა.

ჩინელმა ხელმძღვანელებმა აშკარად გაალაშქრეს მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების წინააღმდეგ და გააფთრებულად თავს ესხმიან სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს. მაგრამ დაე კარგად გაიგონ: სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პირველი მდივნის — ნიკიტა სერგეს-ძე ხრუშჩოვის პოზიცია მთელი ჩვენი პარტიის მტკიცე, უარყეფა პოზიციაა, რასაც სავსებით უჭერს მხარს საბჭოთა ხალხი. ეს არის მოძმე მარქსისტულ-ლენინური პარტიების დიდი უმრავლესობის პოზიცია.

დაე ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელებმა იცოდნენ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტები ერთსულოვანი არიან ჩინეთის ხელმძღვანელობის იმ სამარცხვინო მოქმედებათა შეფასებაში, იმ მოქმედებაში, რომლის მიზანია მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის გათიშვა, რომ ეს მოქმედება საყოველთაო აღშფოთებასა და გულისწყრომას იწვევს.

ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელობამ დაიგიწყეს ყველაფერი, რაც ჩვენმა პარტიამ და საბჭოთა ხალხმა გააკეთეს და აკეთებენ ჩინელი ხალხისათვის. და ყველაზე შავი სიტყვებით ლანძღავენ ისინი ახლა ჩვენს ქვეყანას. ცდილობენ რა ერთმანეთს წაკიდონ საბჭოთა და ჩინელი ხალხები, ცდილობენ დაუპირისპირონ საბჭოთა ხალხი ჩვენს ლენინურ პარტიას, ხოლო პარტია — მის ნაცად შტაბს — სკკპ ცენტრალურ კომიტეტს. მაგრამ ამაოა მათი ცდა. ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის მონოლითური ერთობა ურყევია და ვერავინ ვერასოდეს ვერ შეარყევს მას.

— მწუხარებისა და აღშფოთების გრძნობით, — განაცხადა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. ჩერქეზიამ, — რესპუბლიკის ქალაქებიდან და ჭიაუკებმა შეიტყვეს ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელთა გამითიშველი საქმიანობა.

საქართველოს კომკავშირი, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა, სავსებით იწონებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პრეზიდიუმის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნიკიტა სერგეს-ძე ხრუშჩოვის მეთაურობით ჩინეთის ხელმძღვანელთა ცილისწამებას ჩვენი პარტიის მიმართ.

პლენუმებზე გამოსული ორატორები აღნიშნავდნენ, რომ ჩინეთის ხელმძღვანელთა მოწოდებანი დამანგრეველი იმისაკენ თიოქსდა რევოლუციის გულისათვის საბჭოთა ადამიანების უსაზღვრო გულისწყრომასა და აღშფოთებას იწვევს.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა ძირგამოთხრილი სამნობა, რომლის მიზანია გათიშოს მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა, თქვა უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ქარხანა „ზაპოროჟსტალის“ თხელფურცლოვანი საამქროს უფროსმა მვალცევმა ა. ი. ვოლკოვმა, — აღვირახსნილი ანტისაბჭოთა კამპანია, უხეში გამოხდომები ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის, მისი ყრილობების გადაწყვეტილებების, ერთგული ლენინელის ნ. ს. ხრუშჩოვის წინააღმდეგ სამართლიან გულისწყრომას იწვევს თვითეული საბჭოთა ადამიანის გულში. ჩვენ, ზაპოროჟიელი მეტალურგები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, გადაჭრით ვგმობთ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელთა გამითიშველ, გამცემლურ პოლიტიკას.

უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც შეიკრიბა პარტიულ აქტივთან ერთად, გამოხატა უკრაინის კომუნისტური პარტიის ნება, ერთსულოვნად და სავსებით მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პრეზიდიუმის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნიკიტა სერგეს-ძე ხრუშჩოვის პოლიტიკური და პრაქტიკული საქმიანობა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებანი.

აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილეებმა გამოხატეს რესპუბლიკის კომუნისტებისა და ყველა მშრომელის აზრი და გადაჭრით დაგმეს ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის გამითშველი საქმიანობა, კატეგორიულად უარყვეს პეკინელ ხელმძღვანელთა ცილისმწამებელური მონაჭორები ჩვენი პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის მიმართ.

პლენუმებისა და კრებების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელები ვერ დაფარავენ თავიანთ საზიზღარ მიზნებს. ყველასათვის ნათელია, რომ ულტრარევოლუციური მსჯელობით მსოფლიო რევოლუციის ინტერესების შესახებ, ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლის შესახებ ისინი ცდილობენ დაუმალონ საზოგადოებრივ აზრს, კომუნისტებს ჩინეთის ხელმძღვანელობის მთავარი სტრატეგიული დებულება — რადაც უნდა დაუჯდეთ კომუნისტური მოძრაობა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა ეუქმნებინონ თავიანთ დიდმპყრობელურ ვიწროეგოისტურ ინტერესებს.

სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პლენუმზე პარტიის წევრმა 1905 წლიდან მ. ლ. სულიმოვამ განაცხადა:

— კომუნისტური პარტიის ყველი წევრების სახელით უწინარეს ყოვლისა მინდა ვთქვა, რომ ერთსულოვნად ვიწონებთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ლენინური პოლიტიკას. ჩვენი პარტია ერთგულია პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიადი დროშისა და განუხრელად იბრძოდა და იბრძვის საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისათვის, სოციალისტური ქვეყნების მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებისათვის, მშვიდობისა და კომუნიზმის დიადი საქმის გამარჯვებისათვის. ჩვენ, კომუნისტები, რომლებმაც ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით გავიარეთ ბრძოლისა და გამარჯვების ეკლიანი და სახელოვანი გზა, სამი რევოლუციის მონაწილენი, გულისწყრომით ვგმობთ ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელებს, რომლებიც ღალატობენ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ინტერესებს, ამახინჯებენ მეცნიერულ კომუნიზმს, ძირს უთხრიან ჩვენს ხალხებს შორის ისტორიულად ჩამოყალიბებულ მეგობრობას.

ჩვენ, ძველი ბოლშევიკები, ამბობს შემდეგ ამხ. სულიმოვა, მოსკოველ ყველა კომუნისტთან ერთად გულწრფელად ვუჭერთ მხარს ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ნიკიტა სერგეს-ძე ხრუშჩოვს, რომელიც ასე ენერგიულად იბრძოდა და იბრძვის მარქსიზმ-ლენინიზმის სიწმინდისათვის, კომუნისტური პარტიების ერთიანობის განმტკიცებისათვის, ბანაკის ერთიანობის, ბანაკის ერთიანობის, ბანაკის ერთიანობ

დოგმატიზმი და სექტანტობა კომუნისტური მოძრაობის სამსჯავროზე

იტალიის ავბედითი გადაწყვეტილება

ბრაზილიაში გენერლები პრეზიდენტობის სავარძელს ეპოტინებიან

უცხოეთის საზოგადოებრიობის გამოხმაურება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებაზე „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძოლა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისათვის“.

ჩინელ გამთიშველთა მცდარი და მავნე პოზიცია

ბუდაპეშტი, 3 აპრილი. (საკდესი). უნგრეთის დელეგაციათა ხელმძღვანელთა ინფორმაცია:

დღეს, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანომ გაზეთმა „ნეფსაბადშაგმა“ გამოაქვეყნა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელთა ახალი გამოთქმულები მოქმედების გამო. ეს გადაწყვეტილება მიიღო უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გაფართოებულმა სხდომამ 1964 წლის 20-22 თებერვალს.

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის წევრებისა და უნგრეთის ხალხისათვის, ნათქვამია უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებაში, ცნობილია ჩინეთის ხელმძღვანელების აშკარა გამოსვლები საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობლივი პოლიტიკის წინააღმდეგ ბევრ საკითხში.

მას შემდეგ, რაც მეტმა წილმა მოძმე პარტიებმა გაილაშქრეს მათ არასწორ შეხედულებათა წინააღმდეგ, ჩინეთის ხელმძღვანელები დაადგნენ გამთიშველი საქმიანობის გზას. ტროცკისტებისა და ყველა რენეგატის ელემენტებისაგან, რომლებიც ყველაფერზე მზად არიან. ისინი ქმნიან ფრაქციულ ჯგუფებს და ზოგიერთ ამ ჯგუფს უსირცხვილოდ კომუნისტურ პარტიას უწოდებენ.

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ხაზგასმით არის აღნიშნული გადაწყვეტილებაში, თავიდანვე დაგმო ჩინეთის ხელმძღვანელების სექტანტური, დოგმატური შეხედულებანი და მათი გამთიშველი საქმიანობა. ჩინეთის ხელმძღვანელები თავს ესხმიან სოციალისტური ქვეყნებისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობას, ამსუბუქებენ იმპერიალიზმის მდგომარეობას წინ მიმავალი სოციალისტური სამყაროს მიმართ, აძლევლებენ კომუნისტური პარტიების ბრძოლას ცალკეულ ქვეყნებში და საერთაშორისო ასპარეზზე.

მოძმე პარტიებთან ერთად, ნათქვამია გადაწყვეტილებაში, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია მტკიცედ იცავს მოსკოვის 1957 და 1960 წლების განცხადებათა ხაზს, მთელი სიმტკიცით ილაშქრებს ჩინელი გამთიშველების ძირგამომთხრელი მუშაობის წინააღმდეგ.

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი სავსებით სოლიდარულია საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტთან და პირადად ამხანაგ ხრუშჩოვთან. სრულიად აშკარაა რომ ჩინეთის ხელმძღვანელების თავდასხმები, უწინარეს ყოვლისა, მიმართულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ურყევი მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკა, მისი უდიდესი საერთაშორისო ავტორიტეტი უმთავრესად შეუძლებელად ხდიან ჩინეთის ავანტიურების პოლიტიკის განხორციელებას. ამ ფაქტს ვერ შეცვლის ვერც ძველი და ვერც ახალი ანტიპაბჭოთა თავდასხმები.

სოფია, 5 აპრილი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და სხვა მოძმე პარტიები ბევრს ეცადნენ, რომ აღმოეფხვრათ უთანხმოებანი საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში, გამოწვეული ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის მიერ, ნათქვამია ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის 21 მარტის პლენუმის გადაწყვეტილებაში, რომელიც ბულგარეთის დეკანოზთა საგენტომ გამოაქვეყნა. ყველა ღონისძიებასა და მოქმედებას, რომლის მიზანია უთანხმოების აღმოფხვრა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობის განმტკიცება, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა იმით უპასუხებდა და უპასუხებს, რომ აძლიერებს თავის ფრაქციულ საქმიანობას, აძლიერებს ცილისწამების კამპანიას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სხვა მარქსისტულ-ლენინური პარტიების წინააღმდეგ.

ჩინეთის ხელმძღვანელები კვლავ ახორციელებენ და აღრმავებენ თავიანთ ანტიმარქსისტულ გეზს, აგრეთვე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმართ, აღნიშნულია გადაწყვეტილებაში. ისინი ცდილობენ შექმნან აფრიკა-აზიის ფრონტი თავიანთი ხელმძღვანელობით. ახლა მათი მთავარი ამოცანაა მოსწყვიტონ და დაუპირისპირონ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მსოფლიო სოციალისტურ სისტემას, საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობასა და, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირს.

საერთაშორისო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობაში თავიანთი გამთიშველი საქმიანობით, აღნიშნულია გადაწყვეტილებაში, ჩინეთის ხელმძღვანელები ცდილობენ შექმნან ამჟამად ფრაქციული ჯგუფების საერთაშორისო ბლოკი, რათა დაუპირისპირონ იგი საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და სხვა მოძმე პარტიებს. ამ მიზნით ისინი აშკარად ცდილობენ კომუნისტური და მუშათა პარტიების გათიშვას.

ჩინეთის ხელმძღვანელებმა იდეოლოგიური უთანხმოებანი გადაიტანეს სოციალისტური ქვეყნების ურთიერთობაში და სულ უფრო აუარესებენ ამ ურთიერთობას, ნათქვამია შემდეგ გადაწყვეტილებაში. ისინი ძირს უთხრიან მსოფლიო სოციალისტური სისტემის ერთობას და თავიანთ თავს უპირისპირებენ მის მთელ საქმიანობასა და განვითარებას.

თავიანთ გამთიშველ საქმიანობაში ჩინეთის ხელმძღვანელები მთავარ მეცადინეობას მიმართავენ უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ, რომელსაც ნ. ს. ხრუშჩოვი მეთაურობს. და ეს შემთხვევითი როდია. სახელს უტოვებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა კავშირს, ჩინეთის ხელმძღვანელებს იმედი აქვთ თავი მოაკვეთონ საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობას, გამოიწვიონ მისი დეზორგანიზაცია, თავს მოახვიონ მას დამღუპველი და მავნე გეზი.

ბულგარელ კომუნისტებს თავიანთ წმიდა ინტერნაციონალურ მოვალეობად მიაჩნიათ უაღრესად კატეგორიულად უარყონ ჩინეთის ხელმძღვანელთა საზარელი ეგორები და ცილისწამებას საბჭოთა კავშირის მიმართ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიმართ და ამავე დროს ისინი კვლავ აცხადებენ, რომ ყველა, ვინც შეეცდება ჩირქი მოსცხოს და სახელი გაუტეხოს ლენინის დიდ პარტიას, სამარცხვინო ბოძზე იქნება გაკრული როგორც მარქსიზმ-ლენინიზმისაგან განდგომელი, როგორც მოღალატე პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა, ხაზგასმით აღნიშნულია ამ დოკუმენტში.

ბულგარეთის კომუნისტურ პარტიას მუდამ მიაჩნდა და მიაჩნია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მსოფლიო კომუნისტური ფრონტის ყველაზე ძლევამოსილ და ნაკად რაზმად, რომელსაც აქვს ყველაზე მდიდარი რევოლუციური გამოცდილება და რომელიც საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის საყოველთაოდ აღიარებული ავანგარდია. დიდი ლენინის მიერ შექმნილი და გამოწრთობილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ის პარტიაა, რომელსაც ყველაზე დიდი წვლილი შეაქვს მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედების განვითარებაში, სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებაში მთელ მსოფლიოში.

როგორც დღემდე, ისე მომავალშიც, ბულგარეთის კომუნისტური პარტია მტკიცედ და ურყევად იქლის საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან ერთიან წყობაში და მის მხარდამხარ იბრძოლებს კომუნიზმის დიადი საქმის გამარჯვებისათვის, აღნიშნულია გადაწყვეტილებაში. საბჭოთა კავშირის ძმური დახმარება და ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის ცხოველმყოფელი მეგობრობა მუდამ იყო და იქნება დიდწინაშვნელოვანი პირობა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმისა და კომუნიზმის სრული აშენებისა.

პრაღა, 6 აპრილი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია მთლიანად უჭერს მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძოლას საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობისა და შეკავშირებისათვის, განაცხადა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ანტონინ ნოვოტნიმ, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა შუა სლოვაკიის ოლქის კომუნისტთა კონფერენციაზე ქალაქ ბანსკა-ბისტრიცაში.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, განაცხადა ა. ნოვოტნიმ, [illegible] ნად ეთანხმება ჩინეთის [illegible] ლმძღვანელთა [illegible] ანალიზსს, რომელიც მოგვცა სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და რომელშიც სამართლიანად და ობიექტურად შეფასებულია ჩინეთის ხელმძღვანელთა მავნე და ავანტიურისტული ხაზი, რომელიც მათ სურთ თავს მოახვიონ საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობას, ნაცვლად ლენინური პლატფორმისა, რომელიც მოწონებულია კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის 1957 და 1960 წლების საერთაშორისო თათბირების დოკუმენტებში.

ჩვენ, განაგრძო ა. ნოვოტნიმ, ასევე მხარს ვუჭერთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დაუცხრომელ მეცადინეობას, რომელიც მიზნად ისახავს ყველა მარქსისტულ-ლენინური პარტიის ინტერნაციონალური ერთობის განმტკიცებას და ჩინეთის კომუნისტურ პარტიასა და საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობას შორის უთანხმოებათა დაძლევას.

ა. ნოვოტნიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა მოვამზადოთ ნიადაგი, კომუნისტური პარტიების ახალი საერთაშორისო თათბირისათვის. მოძმე პარტიები, მათ შორის ჩვენი პარტიაც, თქვა ა. ნოვოტნიმ, ყოველთვის გადაჭრით იბრძოლებენ იდეური და ქმედითი ერთობისათვის, ყველა მოძმე მარქსისტულ-ლენინური პარტიის რევოლუციური მებრძოლური შეკავშირებისათვის — რაც ყველაზე წმიდა მოვალეობაა ყველა კომუნისტისათვის.

სანტიაგო, 6 აპრილი. (საკდესი). ჩილის კომუნისტური პარტიის ორგანო გაზეთი „სიგლო“, გმობს რა ჩინეთის ხელმძღვანელთა გამთიშველ პოზიციას, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ისინი მიმართავენ მარქსისტულ-ლენინური პარტიების წინააღმდეგ ბრძოლის ტროცკისტულ მეთოდებს, რომ დგანან წვრილბურჟუაზიული ავანტიურიზმისა და დიდმპყრობელური შოვინიზმის პოზიციებზე. ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელები, აღნიშნავს გაზეთი, თავიანთი მოქმედებით კომუნისტური და მუშათა პარტიების ძალებსა და ყურადღებას აშორებენ სოციალისტური მშენებლობის საარსებო ამოცანათა გადაჭრას, აძლიერებენ ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ფრანგული გაზეთების ფურცლებზე

პარიზი, 4 აპრილი. (საკდესი). საფრანგეთში, განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის მასალებს, რომლებიც მოსკოვში გამოქვეყნდა. მთელი გუშინდელი დღის განმავლობაში პარიზის რადიოსადგურები „უკანასკნელ ცნობების“ გადაცემას იწყებდნენ ცნობით მ. ა. სუსლოვის მოხსენებისა და იმის შესახებ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო დადგენილება საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობისათვის ბრძოლის საკითხზე.

„ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელთა გამთიშველი საქმიანობის გამო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია წინადადებას აყენებს მოეწყოს კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირი“, — წერს „ლუმანიტე“. გაზეთი აღნიშნავს, რომ უკვე რამდენიმე წლის განმავლობაში ჩინეთის ხელმძღვანელები სისტემატურად თავს ესხმიან საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გენერალურ ხაზს. საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ და სხვა კომუნისტურმა პარტიებმა „ყოველი ღონე იხმარეს, რომ აღეკვეთათ მოვლენათა საშიში მსვლელობა“. მაგრამ, ხაზს უსვამს „ლუმანიტე“, ამის პასუხად ჩინეთის ხელმძღვანელებმა მხოლოდ გააძლიერეს ცილისწამებელური კამპანია სკკპ და ბევრი სხვა კომუნისტური პარტიის, მათ შორის საფრანგეთის კომპარტიის წინააღმდეგ. „სუსლოვის მოხსენება განსაკუთრებით დაწვრილებით აანალიზებს ჩინეთის ხელმძღვანელთა თეზისებსა და საქმიანობას, აგრეთვე მოგვაგონებს სკკპ და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის პრინციპულ პოზიციებს“.

„ლუმანიტე“ მთელ გვერდზე ბეჭდავს ვრცელ ციტატებს მ. ა. სუსლოვის მოხსენებიდან და აცხადებს: „საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომელმაც კვლავ დაადასტურა თავისი მტკიცე გადაწყვეტილება იაროს XX ყრილობის მიერ დასახული გზით, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მიერ მოწონებული გზით, სავსებით ბუნებრივია, უყოყმანოდ უჭერს მხარს საფრანგეთის კომუნისტური პარტია“.

ფულბრაიტი კვლავ აკრიტიკებს

ნიუ-იორკი, 6 აპრილი. (საკდესი). სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ ფულბრაიტმა, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა ჩაპელ-ხილში (ჩრდილოეთ კაროლინა) გამართულ სიმპოზიუმზე „შეიარაღება და ადამიანი, ეროვნული უშიშროება და თავისუფალი საზოგადოების მიზნები“, სასტიკად გააკრიტიკა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის ზოგიერთი მხარე.

ფულბრაიტმა მოითხოვა შეწყდეს ცივი ომი, რომელიც „ძალიან ძვირი უჯდება ამერიკას“. ცივი ომი, განაცხადა სენატორმა, არის „გამართლება და ასევე მიზეზი“ დიდი სამხედრო ხარჯებისა. იგი დიდ ეროვნულ რესურსებს შთანთქამს. სენატორმა აღიარა, რომ ცივი ომის ვითარებაში „ვერც ამერიკელი ხალხი, ვერც კონგრესი ეფექტურ კონტროლს ვერ უწევენ სამხედრო კომპლექსს“.

ფულბრაიტმა გაილაშქრა გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ. მან აღნიშნა, რომ იმ სახსრების გარკვეული ნაწილი, რომლებსაც ცივი ომი შთანთქამს, ამერიკელებმა საშინაო საჭიროებებისათვის უნდა გამოიყენონ. განათლებისა და კეთილდღეობის გაუმჯობესების პროგრამების განხორციელება არ უნდა „გადადიოს „ეროვნული თავდაცვის“ დიდი ხარჯების გამო. შეიარაღება, თქვა მან, ეს უშიშროების მხოლოდ ერთი ასპექტია. უშიშროება ავტომატურად როდი იზრდება შეიარაღების ზრდასთან ერთად.

სენატორმა თქვა, რომ იგი უარყოფითად ეკიდება იმას, რომ ახლა „ავადმყოფურად“ აშფოთებთ საზღვარგარეთიდან ეგრეთწოდებული კომუნისტური აგრესია და ძიგამომთხრელი საქმიანობა ამერიკის შეერთებული შტატების შიგნით. ფულბრაიტის სიტყვით, ეს შეშფოთება არ გაქრა მას შემდეგ, რაც 10 წლის წინათ ბოლო მოეღო მაკარტიზმს.

ლუქსემბურგის კომპარტიის მე-17 ყრილობა

ლუქსემბურგი, 5 აპრილი. (საკდესი). დღეს ქალაქ დიფერდანგში მუშაობა დაიწყო ლუქსემბურგის კომუნისტური პარტიის მორიგმა, XVII ყრილობამ.

ყრილობის დღის წესრიგშია: ლუქსემბურგის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების განხილვა, პარტიის საქმიანობის პროგრამის შემუშავება პარლამენტის მომავალი არჩევნების გამო, პარტიის წესდების ცვლილებანი და ლუქსემბურგის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები.

სამხრეთ ვიეტნამის სოფელში დამსჯელები — ნგუენ კხანის არმიის ჯარისკაცები მივიდნენ. ისინი უსწორდებიან ყველას, ვინც კი ხელში მოხვდებათ. ამ სურათზე, რომელიც გამოქვეყნებულია ინგლისურ გაზეთ „დეილი მეილში“, ჯარისკაცებს ქალი შეუპყრიათ. ბიჭუნას უნდა დაიცვას დედა. მან იცის, რომ დედას მოელის წამება და, შესაძლოა, ტანჯვით სიკვდილიც.

ამერიკის დახმარება კონგოს მთავრობას

ვაშინგტონი, 4 აპრილი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ჰარიმანმა წამოაყენა წინადადება სამხედრო დახმარება გაუწიონ კონგოს (ლეოპოლდვილი) მთავრობას, პრეზიდენტ ჯონსონთან შეხვედრის დროს მან რჩევა მისცა შეიმუშაონ პროგრამა ამერიკის სამხედრო დახმარებისა კონგოსადმი.

ჰარიმანი ეს-ეს არის დაბრუნდა მოგზაურობიდან აფრიკის ქვეყნებში, რომლის დროსაც იგი ეწვია კონგოს, ნიგერიასა და განას, და გუშინ მოახსენა პრეზიდენტს თავისი მოგზაურობის შედეგები.

ჯონსონის პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი, 5 აპრილი. (საკდესი). გუშინ პრეს-კონფერენციაზე გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ლ. ჯონსონი, რომელმაც მიმოიხილა უკანასკნელი საერთაშორისო ამბები. შეერთებულ შტატებს, თქვა მან, ამ ბოლო დროს ლათინურ ამერიკაში გადასაწყვეტი ჰქონდათ მთელი რიგი პრობლემები და ეს იყო სერიოზული პრობლემები, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ ჩვენთვის.

პრეზიდენტმა კმაყოფილება გამოთქვა „ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის ურთიერთობაში მოვლენათა განვითარების გამო“. შეეხო რა ბრაზილიაში მომხდარ სამხედრო გადატრიალებას და ახალი მთავრობის ჩადგომას ხელისუფლების სათავეში, ჯონსონმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მზად არიან „დაეხმარონ ბრაზილიას“.

ჯონსონი შეეხო ამასწინანდელ ინციდენტს იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის სამხედრო მზვერავი თვითმფრინავი „რბ-66“ შეიჭრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში. მან განაცხადა, ეს, ალბათ, მოხდა ნავიგაციური შეცდომის შედეგად. მე მივეცი მტკიცე მითითებანი, განაცხადა პრეზიდენტმა, არ იქნეს ასეთი შეცდომები მომავალში.

სამხრეთ ვიეტნამში ამერიკის პოლიტიკის შესახებ ჯონსონმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატები იქ ახორციელებენ იმავე პოლიტიკას, რასაც მრავალი წლის მანძილზე ახორციელებდნენ, — „აძლევენ ამ ქვეყანას დახმარებას, რჩევას, წვრთნიან ჯარებს“.

ჯონსონმა აღიარა, რომ დასავლეთის კავშირის შიგნით არის წინააღმდეგობანი.

ჯონსონმა კმაყოფილება გამოთქვა ამერიკის ეკონომიკის მდგომარეობის გამო მიმდინარე წლის პირველ კვარტალში. ამავე დროს მან აღნიშნა, რომ შეერთებულ შტატებში კვლავ „ძალიან ბევრი უმუშევარია და საჭიროა სიმძლავრეთა ძალიან დიდი ნაწილი არ არის გამოყენებული“. მან ხაზი გაუსვა აგრეთვე იმას, რომ საჭიროა „დიდი სიფრთხილე“, რათა არ მოხდეს ინფლაცია.

ბოლოს ეფიქრა

ტოკიო, 6 აპრილი. (საკდესი). დღეს ტოკიოში საგარეო საქმეთა მინისტრის კეკე დე მიურვილის თანხლებით ჩამოვიდა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ჟორჟ პომპიდუ. ეს საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის პირველი ოფიციალური ვიზიტია იაპონიაში. საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწეები ერთ კვირას დაჰყოფენ იაპონიაში და გამართავენ მოლაპარაკებას იაპონიის მთავრობის ხელმძღვანელებთან ფართო წრის საკითხებზე. კერძოდ, როგორც ფიქრობენ, განიხილავენ მალაიზიის, განიარაღებისა და იაპონია-საფრანგეთის ეკონომიური ურთიერთობის და სხვა საკითხებს.

ლონდონი

კამეჩი

ეროვნული

ეროვნული

ეროვნული

მრავალშვილიანი ოჯახი — ქვეყნის სიხარული

ამას წინათ ღამით საავადმყოფოდან დამირეკეს. მაცნობეს, რომ მოიყვანეს მძიმე ავადმყოფი ქალი და საჭირო იყო სასწრაფო ჩარევა. მაშინვე გავეშურე. ავადმყოფი მართლაც მძიმე მდგომარეობაში დამხვდა. ეს იყო სრულიად ახალგაზრდა, ოციოდე წლის ქალი. ის დამ მოაცილა საავადმყოფომდე. ორი საათის წინ ვიღაც აბორტმახერთან მას აბორტი გაუკეთებია შინაურ პირობებში. ქალს სისხლისდენა ასტეხია და ექიმს ოპერაცია ბოლომდე ვერ მიუყვანია, ისე, გამოუშვია ცოცხალ-მკვდარი, სისხლისაგან დაცლილი ადამიანი საავადმყოფომ. დეც კი არ მოუცლელებია.

ჩვენ რომ ჩავერიეთ, გვიანღა იყო. ქალი გარდაიცვალა.

არაერთი ასეთი ალმაშფოთებელი ფაქტის მოწმე ვყოფილვარ, აბორტმახერები სიცოცხლეს უსპობენ ადამიანებს, მათი მიზეზით მცირდება შობადობა.

ამ დამფიქრებელმა ფაქტებმა მაიძულა დამეწერა ეს წერილი.

საბჭოთა ქვეყანაში შექმნილია ყველა პირობა ხალხის გამრავლებისა და კეთილდღეობისათვის. ჩვენმა ქალებმა არ უნდა დაიტეხონ თავიანთი ვალი, იზრუნონ ჩვენს აწმყოსა და მომავალზე, მომავალი თაობის გამრავლებასა და აღზრდაზე, მოიხადონ დედობის კეთილშობილური მოვალეობა.

ჩვენს ქვეყანაში ყველაზე ფასდაუდებელ კაპიტალს ადამიანი წარმოადგენს, ხალხის გამრავლების საქმე სახელმწიფოებრივი საკითხია.

საბჭოთა კავშირში წლითიწლობით მატულობს შობიარობა, იზრდება მოსახლეობის რიცხვი. საბჭოთა მთავრობა ყველა პირობას უქმნის მრავალშვილიან დედებს, მზრუნველობს და ეხმარება მათ. 1963 წელს ჩვენს რესპუბლიკაში 35.899 მრავალშვილიან დედას მიეცა ფულადი სახელმწიფო დახმარება.

ჩვენს დიად სამშობლოში ზრუნვა დედასა და ბავშვებზე, ოჯახის განმტკიცებაზე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

საზოგადოების კულტურულ განვითარებაში ადამიანთა დიდ მონაპოვარს წარმოადგენს ბედნიერი მრავალშვილიანი ოჯახი, რომელიც ასახავს ახალ ყოფას, ახალ კულტურას. ნამდვილ კომუნისტურ ოჯახში, სადაც სუფევს ერთგულება, ურთიერთდახმარება, ადამიანები პოულობენ ჭეშმარიტ ბედნიერებასა და დიდ სულიერ და მორალურ კმაყოფილებას.

მტკიცე ოჯახი ჯანმრთელი, სღი, კომუნიზმის მომავალი მშენებელი თაობის აღზრდის საწინდარია.

აბორტი ერთ-ერთი მიზეზია ხალხის გამრავლების შემცირებისა.

ცნობილია, რომ ფეხმძიმობა აუცილებელ საჭირო და სასარგებლო ფაქტორს წარმოადგენს ქალის ორგანიზმისათვის, ანალიზმა ცხადყო, რომ მრავალშვილიანი დედები გაცილებით მეტ ხანს ცოცხლობენ, ვიდრე უშვილო ქალები.

ორსულობის დროს ორგანიზმში ადგილი აქვს მთელ რიგ სასარგებლო ცვლილებებს, შინაგანი ორგანოები აძლიერებენ თავის ფუნქციას, რაც აუცილებელ პირობას წარმოადგენს ბავშვის ზრდისათვის. ასეთი გაძლიერებული ფუნქცია ორგანიზმის მხრივ ფიზიოლოგიურია. ფეხმძიმობის დროს ორგანიზმი ხალისდება, როგორც ზოგი ამბობს, ახალგაზრდავდება.

მაგრამ ორსულობა დადებითად მოქმედებს ორგანიზმზე იმ შემთხვევაში, თუ ის ბოლომდე იქნა მიტანილი.

ცვლილებები, რომლებსაც ადგილი აქვს ფეხმძიმობის დროს, თანმიმდევრულად ხდება, რამდენიმე თვის განმავლობაში ორგანიზმი ერთ მდგომარეობიდან მეორეში გადადის.

იმ შემთხვევაში კი, როდესაც ქალი მიმართავს აბორტს, ე. ი. ორსულობის სწრაფ შეწყვეტას, ორგანიზმი ვერ ასწრებს შეგუებას შექმნილ ახალ პირობებთან.

აბორტის შემთხვევაში ორგანიზმში ხდება მანამდე არსებული ფიზიოლოგიური წონასწორობის მოუოდნელი დარღვევა, რაც შეიძლება ქალის დაავადების მიზეზი გახდეს.

დღეს სამკურნალო დაწესებულების პირობებში აბორტი ნებადართულია მხოლოდ იმათვის, რომელსაც თავიანთი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლიათ შობიარობა.

ჩვენი ხალხის კულტურის და შეგნების დონის ამაღლებამ საშუალება მისცა ქალს დამოუკიდებლად გადაწყვიტოს დედობის საკითხი. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ აბორტის გაკეთების უფლება ჰქონდეს ყველას და იგი კეთდებოდეს ყველგან, ვისაც და სად მოესურვება. აბორტის გაკეთება არასამკურნალო დაწესებულებაში სასტიკად აკრძალულია და მისი გამკეთებელი — აბორტმახერი კანონით ისჯება.

მიუხედავად ამისა, ჩვენში, სამწუხაროდ ხშირად აქვს ადგილი ამ უმსგავსობას. ასეთი ოპერაციის შემდეგ ქალები ხშირად ავადდებიან ანთებით, სისხლისდენით, უშვილობით. ზოგჯერ ეს ოპერაცია ქალის სიკვდილითაც მთავრდება, როგორც ამის შესახებ ზევით აღინიშნეთ.

ქალის გარდაცვალების მიზეზი უფრო ხშირად მისი სამკურნალო დაწესებულებაში გვიან მოთავსების ბრალია. აბორტმახერნი თავის დაზღვევის მიზნით დაგვიანებით ათავსებენ ავადმყოფს სტაციონარში.

მეტად შემაწუხებელია ის ფაქტი, რომ ჩვენს რესპუბლიკას კრიმინალური აბორტების მხრივ ჯერ კიდევ ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირში.

პროკურატურა ხშირად ლმობიერად ეკიდება აბორტმახერებს, არ ეწყობა აბორტმახერების საჩვენებელი გასამართლება, სასამართლოს გადაწყვეტილება არ ქვეყნდება პრესაში, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შუამდგომლობით უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა აბორტმახერებისათვის სასჯელის მომატება და მათი საშაყარაოზე გამოყვანა. გარკვეული დროის მანძილზე გამოვლენებული ათობით აბორტმახერიდან მხოლოდ რამოდენიმეს მიესაჯა პატიმრობა. უნდა გვახსოვდეს, რომ აბორტი ჩვენს რესპუბლიკაში შობადობის შემცირების ერთ-ერთი მიზეზია.

უნდა ვამხილოთ აბორტმახერები, ისინი უელმობლად უნდა დაისაჯონ. ისევე, როგორც ბოროტმოქმედნი. ისინი ხომ აშკარად მტრობენ ხალხთა გამრავლების საქმეს, საზოგადოებას და სახელმწიფოს, ჯანმრთელობას უკარგავენ ჩვენს ქალებს.

ისტორიაში ცნობილია, რომ მათს დანაშაულს კაცის კვლას უთანაბრებდნენ.

ჩვენი დიადი ქვეყნის მოკავშირე რესპუბლიკათა შორის საქართველოს ხალხს გამრავლების მხრივ მე-11 ადგილი უჭირავს.

შობადობის მხრივ რესპუბლიკაში ყველაზე ჩამორჩენილ რაიონებს მიეკუთვნებიან ქუთაისი, წულუკიძე, ჩოხატაური, ზუგდიდი, ჭიათურა და სხვ.

ხალხის გამრავლების საკითხში არანაკლებ უარყოფით ფაქტორს წარმოადგენს ბევრი ადგილობრივი ორგანოს ბალანსი. ამ დღეებში რუსთაველის ქუჩაზე საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი კაფერესტორანი „კოლხეთი“.

„კოლხეთი“ ორსართულიანია. პირველ სართულზე მოთავსებულია კაფეტერია, რომელიც ერთდროულად 100 კაცს იტევს. მეორე სართულზე კი — 140-ადგილიანი რესტორანი. აქვეა საბანკეტო დარბაზი 50 კაცისათვის.

□ **ლენტბეჭი.** (საკ. კორ.). ამ დღეებში სვანეთის კიდევ ერთ მაღალმთიან სოფელში — ნანარში აკიადგნენ ილიჩის ნათურები.

ბოლო წლებში ბევრი რამ გაკეთდა რაიონის საკოლმეურნეო სოფლების ელექტროფიცირებისათვის. ამჟამად კოლმეურნეობებს შუქს აწვდის ხუთი ადგილობრივი ელექტროსადგური. ექვსი სოფელი ელექტროენერგიას ლაჯანურის ჰიდროელექტროსადგურისაგან იღებს.

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

თბილისელები „მწვანე ლაშქრობაზე“

გაღნარად ავადმყოფი მწვანეთაში

მზის სხივები ნამით წყურვილს იკლავენ. ბუნება იღვიძებს, თითქოს ისიც დასვენების დღით სარგებლობსო. ირგვლივ მყუდროება და სიჩუმეა. ნაზად სუნთქავს აპრილი, ჭრელი ტანსაცმლით რომ შემოვიდა თბილისში.

ბუნების მყუდროებას სატვირთო მანქანების ხმაური არღვევს. ტრანსპორტის ძარებზე გაკრულია ლოზუნგები: „ბაღნარად ვაქციოთ დედაქალაქი“, „ავაყვავოთ თბილისის შემოგარენი“.

ღიმილით და ომახიანი შეძახილებით შეეხვნენ თბილისის ზღვის ხრიოკ გორაკებს თბილისელი მშრომელები. ყველას ერთი მიზანი, ერთი მისწრაფება ამოძრავებს: ბაღნარად აქციოს ჩვენი დედაქალაქის მიდამოები.

დღეს აქ ორმოების ამოსაღებად მოსულან ლენინის, კალინინის, ორჯონიკიძის, კიროვის, პირველი მაისის რაიონების, სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველოს, პოლიტექნიკური ტექნიკუმის, კინოსტუდიის მუშა-მოსამსახურეები.

ფეხს ვერ აუქცევთ სახელმწიფო თუ კერძო მანქანებს. აქვე გულუბვად უმასპინძლდებიან თბილისელ მშრომელებს მარცხენა სანაპიროს „თბილკეთბავშრობის“ მოძრავი კიოსკები.

ადამიანთა ჟრიამულს მუსიკის ტკბილი მელოდიები უერთდება. ირგვლივ სიცოცხლე და ხალისი იგრძნობა.

ახალგაზრდული შრომა და შემართება მაინც სულ სხვაა. მთელი ენთუზიაზმით შებმიან საქმეს თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტის სტუდენტებს მექანიზმები გამოუტანიათ ორმოების ამოსათხრელად. ტრაქტორზე დაუმაგრებიათ სპეციალური ბურღი, რომელსაც მაგარი გრუნტის ამოსაღებად იყენებენ.

სტუდენტების გვერდით ენერგიულად შრომობენ თბილისის საწარმოდაწესებულებათა მშრომელები.

5 აპრილს თბილისელმა მშრომელებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს თავიანთი დედაქალაქისადმი სიყვარული და პატივისცემა.

დამთავრდა ეს ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი კვირაობა. ერთ დღეს თბილისის ზღვის მიდამოებში 35.000-მდე ორმო ამოიღეს. ახლა ორმოები მწვანე ნარგავებს ელიან.

რ. ბასილაშვილი.

• • •

სურათებზე: მარცხნივ ზემოთ — ელექტროგენერატორის სატვირთო საავტომობილის მუშები ლამარა თედიაშვილი (მარცხნივ) და ლონი კენქუაშვილი. ქვემოთ — სართავ-სატრაკტორო კომბინატის მუშა ეთერ შარიქაძე.

ფოტო შ. გოქაძისა.

სიახლეთა დაგადეგა

ცხაკაია. (საკ. კორ.). ამ დღეებში რუსთაველის ქუჩაზე საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი კაფე-რესტორანი „კოლხეთი“.

„კოლხეთი“ ორსართულიანია. პირველ სართულზე მოთავსებულია კაფეტერია, რომელიც ერთდროულად 100 კაცს იტევს. მეორე სართულზე კი — 140-ადგილიანი რესტორანი. აქვეა საბანკეტო დარბაზი 50 კაცისათვის.

□ **ლენტბეჭი.** (საკ. კორ.). ამ დღეებში სვანეთის კიდევ ერთ მაღალმთიან სოფელში — ნანარში აკიადგნენ ილიჩის ნათურები.

ბოლო წლებში ბევრი რამ გაკეთდა რაიონის საკოლმეურნეო სოფლების ელექტროფიცირებისათვის. ამჟამად კოლმეურნეობებს შუქს აწვდის ხუთი ადგილობრივი ელექტროსადგური. ექვსი სოფელი ელექტროენერგიას ლაჯანურის ჰიდროელექტროსადგურისაგან იღებს.

ექიმების სიმამაცე

ახალქალაქი. (საკ. კორ.). ქალაქს ეძინა. მხოლოდ რაისაავადმყოფოს მუშაკები შ. უზუნიანი და ზ. ბურნუსუზიანი ფეხზლობდნენ და ადამიანთა სიცოცხლეს სდარაჯობდნენ.

მოულოდნელად სამშობიარო სახლში ხანძარმა იფეთქა. ვიდრე მათ მეერ გამოძახებული სახანძრო რაზმი მოვიდოდა, მორიგე ექიმები ხანძარს შეებრძოლნენ და მას გავრცელების საშუალება არ მისცეს. შ. უზუნიანმა და ზ. ბურნუსუზიანმა თავგანწირვისათვის მშრომელთა მადლობა დაიმსახურეს.

ეროვნული ქრონიკა

5 აპრილი დიდი ფეხბურთის დღე იყო. ბრძოლაში ჩაებნენ მეორე ჯგუფის კოლექტივები. გაიმართა 12 მატჩი.

ამ ჯგუფში გამოდის 27 გუნდი, გაყოფილი ორ ქვეჯგუფად. ქვეჯგუფებში გამარჯვებული შვიდ-შვიდი კოლექტივისგან შეიქმნება ფინალური ჯგუფი, სადაც გათამაშდება 1-14 ადგილი. ასევე გათამაშდება მომდევნო ადგილები. მეორე ჯგუფის 4 უძლიერესი კოლექტივი გადაყვანილ იქნება „ა“ კლასის პირველ ჯგუფში.

ლოკომოტიველთა ორი ქულა

„ა“ კლასის მეორე ჯგუფის დებიუტანტს თბილისის „ლოკომოტივს“ პირველი მატჩი ლუგანსკის „სპარტაკთან“ ჰქონდა. შეხვედრა შედგა „ბურევესტნიკის“ სტადიონზე.

სტარტზე ვერც ერთმა მათგანმა ვერ უჩვენა ბრძოლის მაღალი კლასი. მეტოქეები ზედმეტად ნერვიულობდნენ. განსაკუთრებით მოსაწყენი იყო პირველი ტაიმი. 45 წუთში ანგარიში არ გახსნილა.

მეორე ნახევარში თამაში გამოცოცხლდა. დასაწყისშივე მასპინძლებს ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობა ჰქონდათ, მაგრამ საჯარიმო მოედანზე შექმნილ ორომტრფიალში ბურთს ოთხჯერ დაარტყეს კარისაკენ, მაგრამ უშედეგოდ.

ლოკომოტიველებმა წარმატებას 66-ე წუთზე მიაღწიეს. მარჯვენა ფრთიდან კარგად გაგზავნა ჟორდანია, ჩააწოდა კარის გასწვრივ, იქვე აღმოჩნდა აპრესიანი და თავიანთი დარტყმით ბურთი სპარტაკელთა კარში გაიტანა.

ამ ერთადერთმა ბურთმა გადაწყვიტა მატჩის ბედი, გაიმარჯვეს ლოკომოტიველებმა.

კიდევ ხუთი მატჩი

ჩატარდა მეორე ქვეჯგუფის კიდევ ხუთი მატჩი. აი მათი შედეგები: „არარატი“ (ერევანი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 0:0, „ტრაქტორი“ (როსტოვი), — „დინამო“ (ტალინი) 1:0, „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 3:1, „ბეტალგრი“ (ზაპოროჟიე) — „ტრუდი“ (ვორონეჟი) 2:0, „კარპატი“ (ლვოვი) — „შახტიორი“ (ყარაგანდა) 3:0.

პირველ ქვეჯგუფში

პირველი ქვეჯგუფის ექვსი შეხვედრის შედეგები ასეთია: „პახტაკორი“ (ტაშკენტი) — „დინამო“ (ლენინგრადი) 2:0, „სტროიტელი“ (აშხაბადი) — „ვოლგა“ (კალინინი) 1:1, „ენერგეტიკი“ (დუშანბე) — სკა (ნოვოსიბირსკი) 0:2, „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „ავანგარდი“ (ხარკოვი) 2:1, „შრომითი რეზერვები“ (ლუგანსკი) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) 1:1, „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „დაღესტანი“ (რიგა) 0:2.

სტარტი აიღეს მეორე ჯგუფის გუნდებმა

დუგლიორთა შეხვედრები

გუშინ თბილისის „ბურევესტნიკის“ სტადიონზე გაიმართა „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდების დუბლიორთა მატჩი. თამაშობდნენ ლენინგრადის „ზენიტისა“ და თბილისის „დინამოს“ გუნდები. გაიმარჯვეს თბილისელებმა 2:0.

ჟუთაისში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ტორპედოსა“ და მინსკის „დინამოს“ სათადარიგო მოთამაშეთა კოლექტივები. მატჩის შედეგია 1:0 მინსკელთა სასარგებლოდ.

დღეს შედგება ამ გუნდების ძირითად მოთამაშეთა მატჩები.

„ნონა გაფრინდაშვილი — მსოფლიოს ჩემპიონი“

თქვენთვის, მკითხველებო!

ასე ეწოდება კრებულს, რომელიც გაზეთმა „კომუნისტმა“ გამოსცა. გარდა იმისა, რომ კრებულში პირველად საჭადრაკო ლიტერატურაში მთლიანი სახით წარმოდგენილია ქალთა შორის მსოფლიო პირველობაზე მატჩის მსვლელობა, იგი მკითხველებს აცნობს მსოფლიოს ყველა ადრინდელ ჩემპიონს და საქართველოში ქალთა საჭადრაკო მოძრაობის ისტორიას.

მკითხველები კრებულის ფურცლებიდან გაეცნობიან ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონი ქალების — ვერა მენჩიკის, ლიუდმილა რუდენკოს, ოლგა რუბცოვას, ელისაბედ ბიკოვას, ნონა გაფრინდაშვილის შემოქმედებითს პორტრეტებს, აგრეთვე ყველა ქართველი ოსტატი ქალის საჭადრაკო ბიოგრაფიას.

კრებულში დაწვრილებით არის აღწერილი ელისაბედ ბიკოვა-ნონა გაფრინდაშვილის ორთაბრძოლა საჭადრაკო გვირგვინისათვის, რომელიც 1962 წლის 18 სექტემბრიდან 16 ოქტომბრამდე მიმდინარეობდა მოსკოვში სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის დიდ დარბაზში.

მატჩის თერმეტიტე პარტიის ანალიზი და კომენტარები, რომლებიც კრებულშია მოყვანილი, ეკუთვნით ჭადრაკის ცნობილ სპეციალისტებს — გროსმაისტერებს, საერთაშორისო ოსტატებს, ოსტატებს.

აღსანიშნავია, რომ მატჩის ორი პარტია თვით ნ. გაფრინდაშვილმა გაარჩია. კრებულში გამოქვეყნებულია სხვადასხვა დღიურები, ჩანაწერები, რომლებიც გაზეთ „კომუნისტის“ სპეციალურმა კორესპონდენტებმა მოგვაწოდეს უშუალოდ მატჩის მსვლელობის დროს, უნვად არის დაბეჭდილი ფოტომასალა.

კრებული „ნონა გაფრინდაშვილი — მსოფლიოს ჩემპიონი“ 48 გვერდს შეიცავს, დაბეჭდილია რამდენიმე ფერში და ღირს 1 მანეთი.

ლუმანიტეს“ კროსი

პარიზი დიდი ასპარეზობის მოწმე იყო. გასულ კვირადღეს აქ მოეწყო გაზეთ „ლუმანიტეს“ ტრადიციული, რიცხვით 27-ე მძლეოსნური კროსი.

ვაჟთა კროსში 8 კილომეტრზე პირველი ადგილი დაიკავა უნგრელმა სპორტსმენმა ლ. მაჩარიმ. დრო — 24 წუთი და 6 წამი. მეორე ადგილი დაიკავა ესტონელმა მ. ვილტმა (24 წუთი და 7 წამი), მესამე — ე. ბრომიკმა (პოლონეთი, 24 წუთი და 9 წამი). საბჭოთა სტაიერი პ. ბოლოტნიკოვი მეხუთე იყო.

ქალთათვის 2 კილომეტრზე კროსში სამეფე სპორნიზო ადგილი საბჭოთა მორბენლებმა — ლ. გურეევიჩმა (6 წუთი და 43 წამი), ვ. მუხანოვამ და ს. კაირობლევამ დაიკავეს.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს საბჭოთა მძლეოსნებმა.

დელიბის ბიდამთებში

სსრ კავშირის პირველობა მოტოკროსში

გასული კვირადღე თბილისელ სპორტის მოყვარულებისათვის მეტად დატვირთული იყო. გუშმმატკივართა დიდი ნაწილი ორად გაიყო — ნაწილი „ბურევესტნიკის“ სტადიონს ეწვია ფეხბურთის მატჩისათვის, უმრავლესობა კი დელიბში გაემგზავრა.

საუცხოო სანახაობას წარმოადგენდა ამ დღეს თბილისის ეს განაპირა მიდამო. იგი მორთული იყო სსრ კავშირის მოძმე რესპუბლიკების სახელმწიფო და სპორტული ალმებით, ლოზუნგებით, პლაკატებით. ლამაზად გამოიყურებოდა სტარტი და ფინიში.

ერთი სიტყვით, ყველაფერი სანიმუშოდ იყო მოწყობილი სსრ კავშირის ჩემპიონატის პირველი ეტაპისათვის მოტოკროსში, რომელშიც გამოდიოდნენ სახელმოხვეჭილი მოტომრბოლები, ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები, მსოფლიო პირველობის პრიზიორები, მრავალ საერთაშორისო ასპარეზობაში გამოცდილი სპორტსმენები.

შეჯიბრების დაწყებას წინ უძღოდა ჩემპიონატის გახსნის საზეიმო ცერემონიალი. პირველად სტარტი აიღეს 250 კუბური სანტიმეტრის მანქანებით მოტომრბოლებმა. ზათი რიცხვი 33 შეადგენდა. ტრასა მეტად რთული იყო — ძნელი ტრამლინები, მოსახვევები, ალმართ-დალმართები. ბრძოლა ძირითადად სპორტის დამსახურებულ ოსტატ ი. გრიგორიევსა (კიევი) და ვ. არბეკოვს (მოსკოვი) შორის წარიმართა და დამთავრდა ი. გრიგორიევის გამარჯვებით. მეორე იყო ვ. არბეკოვი, მესამე ადგილი დაიკავა ბ. დინბურგმა (კოვროვი).

მომდევნო სტარტი განკუთვნილი იყო 500 კუბური სანტიმეტრის მანქანებით მოტოციკლეტებისათვის. აქ უძლიერესი იყო ლენინგრადელი სპორტის ოსტატი ს. კადუმკინი. მეორე ადგილი დაიკავა მოსკოველმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ნ. სოკოლოვმა.

ჩემპიონატის დებუტანტი ყოველ ეტაპზე შეჯიბრება ეწყობა ორი ცდის მიხედვით. ამიტომ მთავარი ყურადღება გამახვილებული იყო მეორე ცდაზე. და როდესაც ბრძოლაში კვლავ ჩაებნენ 250 კუბური სანტიმეტრის მანქანებით მოტომრბოლები, სურათი მალე შეიცვალა. ლიდერთა წარმომადგენელს — ი. გრიგორიევს ერთ მონენტში მანქანა ჩაუქრა და იგი მხოლოდ მეორე ადგილით დაკმაყოფილდა. გამარჯვება როგორც მეორე ცდაში, აგრეთვე ორი ცდის ჯამით ხვდა ვ. არბეკოვს. 500 კუბური მანქანებით კროსში (მეორე ცდა) რიგელი ა. კლიავინუში პირველი იყო. ორი ცდის ჯამით კი გიმარჯვა ლენინგრადელმა ს. კადუმკინმა.

მოტოკროსის მეორე და მესამე ეტაპი შედგება 8 და 12 აპრილს რუსთავსა და სოხუმში.

ეროვნული ოპერეტა

5 აპრილს ოქტომბერის სახელობის ოპერეტის თეატრში „ბოკაჩიოს“ ბენეფისი ჰქონდა ცნობილ ოპერეტურ მომღერალ ალ. ბოკაჩიოს. ეს ბენეფისი ორ ნაწილად — ორ ნაწილ-ოპერეტად ეთამაშა. ალ. ბოკაჩიოს ბენეფისი ეროვნული ოპერეტის ერთ-ერთ ბრწყინვალე ფურცელ-ფერად ეფინა. ალ. ბოკაჩიოს ბენეფისი ეროვნული ოპერეტის ერთ-ერთ ბრწყინვალე ფურცელ-ფერად ეფინა.

ბოლოდროინდელი ბენეფისი

ბენეფისი ჰქონდა ცნობილ ოპერეტურ მომღერალ ალ. ბოკაჩიოს. ეს ბენეფისი ორ ნაწილად — ორ ნაწილ-ოპერეტად ეთამაშ